ცნობის ფურცელი

№ 1771 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 ოთხშაბათი, 3 აპრილი № 1771

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის-ფურცელი“
სურათებიანი დამატებით

1-ლ აპრილიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **5** მან.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

კ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ვ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—9 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილის, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). **ტელეფონი № 274.** (წლ.)

წლიური ჩვეულებრივი საზოგადო კრება ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა

დანიშნულია 6 აპრილს, შაბათს, დილის ათ საათზე ს. კუხს, ამხანაგობის სამმართველოში. საგნები კრებისა: 1) 1900 და 1901 წლის ანგარიშების დამტკიცება; 2) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა სამინისტროსაგან დამტკიცებულის წესდების თანახმად; 3) 1902 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება; 4) ამხანაგობის მმართველის მიერ წარმოდგენილის მოსაზრების განხილვა, ორის წლით, საცდელად, წარმომადგენელთა საზოგადო კრების შემოღების შესახებ; 5) გამგეობისადმი მინდობა ამხანაგობის ალებ—მიცემობისათვის ფულის სესხებისა და 6) ამხანაგობათა კავშირის წესდების შემუშავების და დასამტკიცებლად წარდგენის მინდობა გამგეობისადმი სხვა ამხანაგობათა წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

ამხანაგობის მმართველი **ნესტორ წერეთელი.** (ნ. 10—6)

ექიმი
ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24

ტელეფონი № 642.

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმოს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

საზღვარ-გარედ

გერმანია. ამ მოკლე ხანში პრუსიის ზოგიერთ ქალაქებში საქალაქო არჩევნები იყო. არჩევნებში დიდი მონაწილეობა მიიღო დემოკრატიამ.

ეხლა პრუსიაში ბევრ საბჭოში დემოკრატებს შესამჩნევი ძალა აქვთ, რაც თვალსაჩინოდ დაეტყო მუნიციპალიტეტების ნაყოფიერ მოღვაწეობას: დემოკრატიული ელემენტიის ფერმენტია, რომელიც ასე სასურველად ამოძრავებს გერმანიის და ევროპის სხვა სახელმწიფოების საბჭოს და რომელიც ასე აკლია ჩვენ სიმაძღრით მიძინებულ „მამათა“ დარბაზებს. ქალაქის მეურნეობის გაფართოება, (საკონცესიო წესის მოსპობა და მის მაგიერ თვით ქალაქის მიერ საქმეების გაძღოლა), ჰიგიენა, სკოლა, უმწეოთა დახმარება, ყველა ეს საქმეები განსაკუთრებულის ძალით გამოცოცხდა მას შემდეგ, რაც დემოკრატია შევიდა საბჭოებში.

დიდი ადგილი სამუნიციპალო პროგრამებში უკავია საზოგადო და საპროფესიონალო განათლებას. დემოკრატიას კარგად ესმის, რომ თუ სწავლა სავალდებულო არ იქმნა ხალხისათვის, ხალხი ისე ვერ განვითარდება, ზოგი სიღარიბის გამო და ზოგიც—შეუგნებლობისა. გერმანიაში, რასაკვირველია, დიდი ხანია სწავლა სავალდებულოა, მაგრამ სწავლა პირველ-დაწყებითი. დემოკრატია სცდილობს ეხლა, რომ სავალდებულო გახდეს საპროფესიონალო და დამატებითი სკოლები (Fortbildungsschule) 14—18 წლის ყმაწვილებისათვის. საქსონიაში, ბადენში და ვიურტემბერგში უკვე შემოღებულია ეს წესი. ეხლა სცდილობენ მის გავრცელებას მთელ გერმანიაზე. საყურადღებოა, ამ წესის გავრცელებისათვის სრულებით საჭირო არ არის ახალი კანონი, რადგან ყოველ სოფლისა ან ქალაქის საზოგადოებას უფლება აქვს გამოსცეს სტატუტი, რომლითაც დაევალება მშობლებსა და საქმის მეპატრონეებს ჰგზავნონ ბავშვები ორის საათით „დამატებით სკოლებში“, სადაც მათ უვითარებენ სახალხო სკოლიდან გამოტანილ ცოდნას, ასწავლიან ახალ ენებს, ფიზიკას, ქიმიას და ხაზვა-ხატვას. პრუსიის მუნიციპალიტეტების წარმომადგენელთა კრებამ, რომელიც ეხლა ხან მოხდა, საჭიროდ იცნო ამ წესის შემოღება. ამით ისარგებლეს ბერლინის საბჭოს დემოკრატებმა და მოითხოვეს, რომ ხსენებულ კრების სიტყვა დაუყოვნებლივ საქმედ ქცეულიყო. ბერლინის საპროფესიონალო სკოლები ეხლაც სამაგალითოდ არის მოწყობილი, მაგრამ შიგ მხოლოდ 26,000 ახალგაზდა სწავლობს. მაშინ კი, როცა სწავლის გაგრძელება 18-წლამდე სავალდებულო იქნება, ასეთ მოსწავლეთა რიცხვი 60-ათასამდე ავა; გარდა ამისა, ეხლანდელ საპროფესიონალო სკოლას ის ნაკლი აქვს, რომ უმთავრესსა და განსაკუთრებულ ყურადღებას სპეციალურ საგნებს აქცევენ (ხატვას, მოდელის კეთებას, ბუხჰალტერიას, ელექტრო-ტეხნიკას), განათლების დანიშნულება კი ისიც არის, რომ საზოგადო განვითარება მისცეს მოსწავლეს, დააწაფოს იგი კულტურას და არა მის გარეშე დასტოვოს. 14 წლისა ათავებს მოსწავლე გერმანელი პირველ დაწყებით სკოლას (სწავლობს 8 წელი, ექვსიდან თოთხმეტამდე) და მუშაობას იწყებს თავის სარჩენად სწორედ ისეთ ასაკში, როცა მას შეუძლია შეიგნოს საზოგადო განმავითარებელი საგნები, რომელიც ასე საჭიროა ინტელიგენტისათვის. თუ თვრამეტ წლამდე ახალგაზდა დღეში ორ-საათს სწავლისა და განვითარების საქმეს მოახმარს კარგად მოწყობილ სკოლაში, ამითი მას უდიდეს სამსახურს გაუწევენ მთელ მის შემდეგ სიცოცხლისათვის. ბერლინის საბჭოს დიდი უმრავლესობა თანახმა გახდა დემოკრატიის წინადადებისა და საგანგებო კომისიას მიანდო საჭირო სტატუტის შემუშავება.

ასე მიდის საქმე ისეთ ქალაქებში, სადაც საბჭო მარტო სქელ ჯიბიანებისა ხელში არ არის.

ფელეტონი

ჟან გენილი

მოთხრობა ოქტავ მირბოსი

(ფრანგულით)

მთელი დღე იხეტიალა ჟან გენილმა, მაგრამ უნაყოფოდ, ვერაფერი იშოვა. უკვე შუაღამემ მოატანა და იმანაც გადასწყვიტა შინ დაბრუნებულიყო. შინა-მეთქი! „შინას“ ჟანი ანვერის მოედანზე პატარა ბაღში დადგმულს მერხს ეძახდა. ეს უკანასკნელი თვე ამ მერხზე ათენებდა ღამეს, ზევიდან წაბლის ხის ტოტები ჰფარავდა... სწორედ ამ დროს ჟანი ბულვარზე იყო, „ვოდევილის“ თეატრის წინ, სადაც მათხოვართა რიცხვს ყოველ საღამოს თან-და-თან ემატებოდა და იმას მეტოქეობას უწევდნენ. ჟანს სიმარდე აკლდა, რომ მიმდგარ-მომდგარიყო, ბედიც ჰღალატობდა და მთელი ეს საღამო სასაცილოდ შეიქმნა მისთვის... ორად-ორი სუ იშოვნა და ისიც უცხო ქვეყნის ფული, საფრანგეთში გასავალი არა ჰქონდა.

—ღმერთი სად არის! ჩემისთანა უბედურს მილიონერმა ორი სუ მისცეს და ისიც ყალბი!..

ჯერ კიდევ თვალ-წინ ედგა ის კაცი, ვინც გაიკითხა,—ლამაზი, მდიდრულად ჩაცმულ-დახურული... თეთრ ალსტუკიანი... თვალის-მომჭრელ სითეთრის გულისპირიანი... ხელშიაც ოქროს თავიანი ჯოხი ეჭირა...

ჟანმა, იმის მაგიერ რომ შეეკურთხებინა თავისს კეთილის-მყოფელისათვის, მხრები-ღა შეიშმუშნა...

ყველაზე უფრო ის ადარდებდა, რომ ანვერის მოედნამდე დიდი გზა ჰქონდა გასავლელი... დიაღ, დიდი მანძილი იყო და თანაც არ უნდოდა თავის „შინას“ გარედ დაეძინა, თავის სკამისათვის ეღალატნა. კაცმა რო სთქვას, თავის სკამზე ბედს არ ემდუროდა. დარწმუნებული იყო, რომ აქ ხმას არავინ გასცემდა... იმიტომ რომ პოლიციელი იცნობდა, იმათაც ებრალებოდათ და არ უშლიდნენ თავისუფლად დაეძინა..

— ფუი, დალახვრა ღმერთმა ეშმაკი!—წამოიბუზღუნა ჟანმა,—ე რა ნაირად გათავდა ეს დღე... სამი კვირაა, ასეთი დღე არ გამთენებია! ტყუილად კი არ სჩივიან, ვაჭრობა დაეცა, ფულის სიძვირეაო... თუ ეს, როგორც ამბობენ, ინგლისელების ბრალია, ამ შეჩვენებულ ინგლისელებისა... ეშმაკმა ზიდოს მათი თავი და ტანი!..

გაუდგა გზას. იმედს მაინც არა ჰკარგავდა. იქმნება, მადლიანი კაცი ან მთვრალი ვინმე შემხვდეს და ორი სუ მაინც მომცეს, კარგი სუ, რომ ხვალ დილით პური ვიყიდოვო...

— ორი სუ... კარგი სუ... არა, ოქროს მადნები ხომ არ არის, რომ ვინმემ არ გაიმეტოს!—იძახდა თავისთვის და ნება-ნება მიდიოდა... ჩქარა იმიტომ ვერ სძრავდა ფეხებს, რომ დაქანცული იყო და, ამის გარდა, ფუშიცა ჰქონდა. ჩვეულებრივზე უფრო ახლა აწუხებდა ეს ტკივილი.

მთელი ჩარექი საათი მიდიოდა, მადლიანი კაცი მაინც არავინ მოევლინა. უცბად ფეხი რბილ რასმე დაადგა. ჯერა სთქვა, ნაგავი იქნებაო... მერე იფიქრა, იქნება რამე საჭმელი იყოსო... ვინ იცის, კაცს რა მოელისო!.. ისიც მართალია, რომ ბედი ღარიბებს გაურბის, მარცხად თუ გაუღიმებს,.. ამაზე მომაგონდა, ერთს საღამოს ბლანშის ქუჩაზე ცხვრის თეძოს ნაჭერი ვიპოვნე, მშვენიერი და ზორბა ნაჭერი იყო... ალბად ყასაბს გადმოუვარდებოდა ურმიდან. ეს კი, ახლა რომ ფეხი დავადგი, რა თქმა უნდა, თეძოს ნაჭერი არ არის, მაგრამ იქნება საკოტლეტო ნაჭერია... იქნება ღვიძლის ნაჭერიცაა, ან იქმნება გულია ხბოსი...

—არა—თქვა თავის გულში ჟანმა,—მაინცა ვნახო, რა არის...

მათხოვარა დაიხარა ნივთის ასაღებად.

— ბიჭოს!—წამოიძახა ჟანმა, როცა ხელი ახლო—საჭმელი არა ყოფილა... ვაი, რა მწარედ მოვსტყუვდი!..

ქუჩა ცარიელი იყო. არც პოლიციელი სჩანდა სადმე... მიუახლოვა გაზის ფანარს, რომ ნაპოვნი ნივთი გაესინჯა.

— ამას კი აღარ მოველოდი!.. ეს მეტისმეტია!—წაილუღლუღა გასაგონად.

ხელში ტყავის საფულე ეჭირა, კუთხეებზე ვერცხლ-შემოვლებული... გაალო. ერთ უბეში მთელი კონა ეწყო ქაღალდის ფულისა. ათი ათას-ფრანკიანი იყო, ქინძისთავით შეკრული.

— პოვნაც ასეთი უნდა!—განიმეორა ისევ და თავის კანტურით დაუმატა:

— რო წარმოვიდგენ, რომ ზოგს ასეთი საფულე აქვს და შიგაც ათი ათასი ფრანკი ულაგია...—არა, გული როგორ არ უნდა დამწყდეს!..

საფულეს სხვა უბეებიც გაუსინჯა...სხვებში ვერაფერი ნახა... პატრონის ვინაობის ბარათიც არ იდო... აღარც ფოტოგრაფიული სურათი... არც წერილი. ერთის სიტყვით, ვერავითარი ნიშანი ვერ აღმოაჩინა ფულის პატრონისა.

საფულე დაკეცა და ნაღვლიანად წარმოსთქვა: მეტი უილბლობა—თუ-ღა იქნება!.. ახლა ბოქაულს უნდა წავუღო. ისედაც მოწყვეტილმა გზა უნდა გავიგრძელო... არა, რა საჭიროა, ამაღამ ბედმა სულ შემაქცია ზურგი...

ქუჩა უფრო-და-უფრო ცარიელდებოდა... ძე-ხორციელი არ ჭაჭანებდა, პოლიციელებიც თითქო რაღაც განქრნენო... ჟანი უკან დაბრუნდა და მახლობელ საპოლიციო ბოქაულთან შევიდა...

დიდი ვაი-ვაგლახი გამოიარა, სანამ ბოქაულამდე მიაღწევდა. მისი ძონძები, მისი გამშრალი და ნაცრისფერი ხორცის კანი რომ დაინახეს, ეგონათ, ვინმე ავაზაკიაო. ცოტას გასწყდა, არ მისცვივდნენ დასაჭერად და ნაწილში დასამწყდევად არ გაგზავნეს... მაგრამ მათხოვარამ ტკბილის სიტყვებით, ხვეწნა-მუდარით. როგორც იყო, ექვი გაუფანტა პოლიციელთ და იმათაც მოწყა-

გაზეთის მკითხველს ეხსომება ბერლინის საბჭოს და ვილჰელმ მეორის კონფლიკტი თავისუფალ მოაზრე კაუფმანის ქალაქის თავად არჩევის გამო: იმპერატორმა ორჯერ არ დაამტკიცა საბჭოს არჩეული კაუფმანი. საბჭომ თავის უფლების დასაცველად და პროტესტის გამოსაცხადებლად უარი სთქვა ახალ არჩევანზე, რამაც მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა მთავრობა. ეხლა ის კაუფმანი ნერვებით ავად გამხდარა; შეიძლება ამ გარემოებამ ბოლო მოუღოს უსიამოვნო ინციდენტს და ჭკუა ნასწავლი მთავრობა ეხლა ველარ გაბედავს არ დაამტკიცოს ვინც უნდა აირჩიოს საბჭომ. რამდენად ფრთხილად არის პრუსიის მთავრობა ასეთ ინციდენტის შემდეგ, სჩანს შემდეგის გარემოებიდან: ბერლინის განაპირა ადგილს რუმელსბურგს, რომელსაც საკუთარი თვითმართველობა აქვს, გარდაუწყვეტია დაარქვას ერთ-ერთ თავის ქუჩას ცნობილ მწერლის ჰაუპტმანის სახელი; ხმა გავრცელდა, ვითომ შინაგან საქმეთა მინისტრს აეკრძალოს პატარა მუნიციპალიტეტისათვის ქუჩისათვის ასეთი სახელი დაერქვა, რადგან ჰაუპტმანი ისეთ დემოკრატიულ დრამის ავტორია, როგორც „ფეიქრები“ (dil Weder). ინციდენტმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და ხსენებული მინისტრი იძულებული შეიქმნა გამოეცხადებინა, რომ იგი სრულებით წინააღმდეგი არ არის ჰაუპტმანის ასეთი პატივისცემისა. „მით უკეთესი მინისტრისათვისო“, ათავებს კორესპონდენტი, რომელიც ამ ამბავს იწერება.

საფრანგეთი. ყოფილ მინისტრის ბარტუს ქცევით (გუშინ გვქონდა მოყვანილი) მეტად გაბრაზებული არიან ნაციონალისტები. გაზეთი „გოლუა“ აცხადებს, რომ ბარტუ თვით ვალდეკზე უფრო საშიში არისო. განსაკუთრებულად გააწიწმატა ნაციონალისტები ბარტუს სიტყვის იმ ადგილმა, სადაც ორატორი ასე ახასიათებს ნაციონალისტებს: „ნაციონალიზმი არ არის პარტია, რომელსაც განსაზღვრული დოკტრინა, საკუთარი მეთოდი და პროგრამა უნდა ჰქონდეს. იგი —უფორმო კოალიციაა გაცრუებული იმედებისა, მძულვარებისა, პატივ-მოყვარეობისა და მადა გახრწნილობისა. ნაციონალიზმის გამარჯვება მისივე დანგრევა იქნებოდა. პროგრესიულ გადასახადის მოციქული აქ გვერდში უდგას სრულებით დაძველებულ და უკან-ჩამორჩენილ სოციალურ პროგრამის დამცველს; გზას აცდენილი ფრანკმასონი ტკბილად უღიმის აჯანყების მედროშე კონგრეგაციონისტს; კომუნის ყოფილი წევრები ხელიხელ გადაკიდებული არის ყოფილ სამხედრო მინისტრებთან; მოუნათლავი ებრაელები ანტისემიტიზმს ქადაგებენ; საფრანგეთის აკადემია გამოდის ქუჩაზე და კამლოს (ქუჩის ბიჭი) ბლუზას ეხახუნება თავის დაფნის გვირგვინით; 16 მაისს განდევნილი მინისტრები ხელს უწვდიან შესარიგებლად რეაქციონერებს, რომელთაც ისინი განდევნეს. მთელი ეს კოალიცია არსებითად მიმართულია რესპუბლიკის წინააღმდეგ, მისი სულის ჩამდგმელი ამხედრებული კლერიკალიზმია. ამიტომ ყოველივე კავშირი ნაციონალიზმთან დანაშაულის ჩადენაა რესპუბლიკის წინაშე.

◆

ახალი ამბავი

◆ ორშაბათს, 1-ლ აპრილს, ბათუმის ქალაქის თავს თავ. **ი. ზ. ანდრონიკაშვილს** მეგობარ-ნაცნობებმა გაუმართეს გამოსათხოვარი სადილი.

თავ. ანდრონიკაშვილი გუშინ, 2 აპრილს წავიდა იმერეთში დ 4 აპრილიდან შეუდგება თავის თანამდებობის აღსრულებას.

◆ ტფილისის გამგეობის წევრის ე. ხოსროევის ადგილზე ყუთს დაიდგამს, როგორც ნამდვილად გავიგეთ, ქალაქის სასანიტარო ინსპექტორი ექიმი სტეფანოვი.

◆ პირველ აპრილს შესდგა სამედიცინო საზოგადოების სხდომა, რომელზედაც დაადგინეს ამოირჩიონ განსაკუთრებული კომიტეტი, რომ შეიმუშავოს პროგრამა და მოწყობა კავკასიის **ექიმთა** მესამე კრებისა, რომელიც შესდგება სამი წლის შემდეგ. კენჭის ყრით ამოირჩიეს. კომიტეტის თავმჯდომარედ ექიმი ლუნკევიჩი, თავმჯდომარის ამხანაგად—ანანოვი, პირველ მდივნად ფიშერი და მეორე მდივნად სამედიცინო სამმართველოს მდივანი.

◆ შვიდ აპრილისათვის დანიშნულია ამომრჩეველთა **მესამე რაიონის** კრება, რათა მოილაპარაკონ, ვინ ამოირჩიონ ქალაქის საბჭოს ხმოსნებად.

◆ ბაქოს ტეხნიკურ სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭოს ამას წინად შუამდგომლობა აღუძრავს საერო განათლების სამინისტროს წინაშე, რომ ნება მიეცეს მას **ეგზამენები და ბავშვების კლასიდან კლასში გადაყვანა** გაზაფხულზე-კი არა ზამთარში (დეკემბერში) მოახდინოს. ახლა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ატყობინებს ხსენებულ სასწავლებელს, რომ საერო განათლების სამინისტროს მოუწონებია მისი განზრახვა და ნება დაურთავს გამოსცადოს აღნიშნული წესი.

◆ გუშინ-წინ სოლოლაკში, თაიროვის სახლში, **აფეთქება მოხდა.** ამ სახლის დაბლა სართულში მოთავსებულია ელექტრონული საზოგადოების „სიმენს და გალსკე“-ს მასალის საწყობი. ამავე სარდაფში სხვა ასაფეთქებელ საგნებ შორის მიწაში ჩაფლულია დიდი რკინის ბოჭკა ბენზინით. ეს ბოჭკა მაგრა დახურული იყო და ოთახში გარდა გოგირდის სიმყავისა, არაფერი არ იყო. უცბად ამ ოთახში ისეთი დაიქუხა, რომ არამც თუ ეს სახლი, მეზობლის სახლებიც შეინძრნენ. როცა შევიდნენ, ნახეს რომ უგრძნობლად ყრიან კანტორის მოსამსახურეები მარგანოვი და შტეინგერი, რომლებიც მაშინათვე საავადმყოფოში გაგზავნეს, მაგრამ სიკვდილის შიში არა აქვთ. ამ ამბავზე უცბათ თავი მოიყარეს გამვლელ-გამომვლელებმა, იმ წამსვე მივიდნენ პოლიციის მოხელენი და გამომძიებელი. ჯერ-ჯერობით აფეთქების მიზეზი ვერ გამოუკვლევიათ; მაგრამ საზოგადო დასკვნით, უთუოთ მოსამსახურეთ პაპიროსის მოწევა მოუნდათ, გაჰკრეს სპიჩკა, ძირს გადააგდეს და უცბად იფეთქა გაზმა, რომლითაც სარდაფში გაჟღენთილია ჰაერი.

◆ იმის გამო, რომ ქალაქის გამგეობამ, თანხმად საქართველოს ეგზარხოსის თხოვნისა, მთავარ-მართებლის დამტკიცებით დაუთმო ნაძალადევში 579 ოთხ კუთხი საჟ. მიწა **ეკლესიისა და სკოლის** ასაშენებლად და ეხლა-კი შეუმცირა ეს დათმობილი ადგილი 482 ოთხ-კუთხ საჟნად, საქართველოს ეგზარხოსი თხოულობს, რომ წინად გადაწყვეტილი 579 საჟ. მისცენ.

◆ „კავკაზ“-ის სიტყვით, ტფილისის მაზრის მულანლოს სოფლის საზოგადოებას, რომელიც 120 კომლისაგან შესდგება დ ადგილ-მამულის ნაკლებობით არის შევიწროებული, განუზრახავს იყიდოს 120 დესეტინა მიწა ტფილისის მცხოვრებ ალიბეგოვისაგან 5 ათას მანათად. **საყურადღებოა,** რომ სოფლის საზოგადოებას 1500 მან. აძლევენ ამ მამულის შესყიდვისათვის საგლეხო სამეურნეო თანხიდან.

◆ ორშაბათს, 1-ლ აპრილს, ქუთაისიდან ტფილისში ჩამოვიდა **ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი** გენერალ-მაიორი სმაგინი.

◆ ხვალ, 4 აპრილს, საღამოს 8 საათზე, დანიშნულია სხდომა **ქალაქის სასწავლებელთა** გამგე კომისიისა.

◆ ტფილისის წყლისგან გადამრჩენელმა საზოგადოებამ დაადგინა, დააარსოს **სამი სადგური** წყლიდან გადარჩენისა: ერთი ვერის ხიდთან, მეორე ნიკოლოოზის ხიდთან და მესამე ავლაბრის ხიდთან. ყველა სადგურს უნდა ჰქონდეს ყოველგვარი იარაღი საშველად და აგრეთვე ნავები; ამასთანავე ყველა სადგურზე უნდა იყოს რამდენიმე მცურავი კაცი. საზოგადოების გამოანგარიშებით თითო სადგური დაჯდება 30 მან. წელიწადში.

◆ 30 მარტს დანიშნული იყო **რევიზია ქალაქის ლომბარდისა,** მაგრამ, რადგანაც დანიშნულს დროზე დეპუტატები არ მოვიდნენ, რევიზია ვერ მოხდა.

◆ ქალაქის გამგეობაში აღძრეს კითხვა, რომ **სასტიკი კანტროლი დააწესონ** საწყობებიდან შეშის გაყიდვაზე. მცოდნე პირები ამტკიცებენ, რომ საწყობის პატრონები ხშირად ერთი საჟნის მაგივრად მსყიდელს საჟნის ორ-მესამედს აძლევენ და ხან ნახევარსაცაო. ისე ეშმაკურად აწყობენ შეშას, რომ მსყიდველი ვერაფერს ვერ გაიგებსო.

◆ ქალაქისაგან სამსახურში მოწვეულმა ბეითალმა ბ. თავდგირიძემ დაათვალიერა ქალაქის ყველა საყასბოები და ხორცის დუქნები და იმ დასკვნას დაადგა, რომ ეს დუქნები საშინლად **ბინძურად და უსუფთაოდ** ინახებიან. ამის თაობაზე ბ. თავდგირიძემ მოხსენება წარადგინა ქალაქის გამგეობაში, რომლითაც ისა თხოულობს, რომ ყასბებს და ხორცის გამყიდავებს დაევალოთ უსასტიკესად: 1) რომ დუქანში დიდი სისუფთავე იყოს; 2) ხორცის საჭრელი კუნძი მეტად სუფთა უნდა იყოს ყოველთვის და კუნძები უთუოდ მაგარი ხისა უნდა იყოს, მაგ., მუხისა; 3) დაზგები რკინით გადაჭედილი უნდა იყოს და ხშირად გაირეცხოს საპნით და ცხელის წყლით და 4) ჩანგლები, რომელზედაც ხორცი ჰკიდია, ძალიან სუფთა უნდა იყოს და აგრეთვე კედელზე, სადაც ხორცები ჰკიდია, სუფთა თუნუქი უნდა იყოს გაკრული.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურ შაქარლიდან იტყობინებიან, რომ 31 მარტს, საღამოს 10 საათზე, 364 ვერსზე გზის სადარაჯოს დაეცა სამი შეიარაღებული თათარი. ავაზაკებს უნდოდათ ფანჯრიდან გადამძვრალიყვნენ სადარაჯოში, სადაც იმ დროს დარაჯი ისკანდერ-მამედ-ალი-ოღლი იყო, რომელიც არ უშვებდა ქურდებს და ხანჯლით იგერებდა. შემდეგ, როგორც დრო იპოვა, გამოვარდა სადარაჯოდან და გაიქცა და ამ დროს მომავალი მატარებელი № 144 შეაჩერა. ავაზაკებმა დარაჯის მთელი ქონების მოტაცება მაინც მოასწრეს და მიიმალნენ. დარაჯი ხელშია დაჭრილი.

◆ წარსულ წელს სასამართლოს ბოქაული ხარკევიჩი მისულა ტფილისის მცხოვრებ ვასილ და ნინო გაიდუკოვებთან მათი ნივთების ასაწერად და მოვალის დასაკმაყოფილებლად. გაიდუკოვებს, დედასა და შვილს წინააღმდეგობა გაუწევიათ, ნივთები არ დაუნებებიათ და სიტყვითაც შეურაცხყოფა მიუყენებიათ ბოქაულ ხარკევიჩისათვის. პასუხის გებაში მიცემულ გაიდუკოებისათვის ტფ. ოლქის სასამართლოს გარდაუწყვეტია: ვასილისათვის 8 თვით, ხოლო ნინოსათვის 6 თვით ციხეში დაპატიმრება. ბრალდებულთ ეს საქმე გაუსაჩივრებიათ ტ. სამოსამართლო პალატაში, სადაც საქმე გაირჩა გუშინ, 2 აპრილს; პალატამ პატივდებაში მიიღო ვექილის თავ. ბარათაშვილის შუამდგომლობა და შეუმცირა ბრალდებულთ სასჯელი: ნინო გაიდუკოვს 1 თვით იქნება ციხეში დაპატიმრებული, ხოლო ვასილი—4 თვით.

ლება მოიღეს და ბოქაულის ოთახში შეიყვანეს.

— ბატონო ბოქაულო,—დაუკრა თავი გენილმა,— ქუჩაზე ნივთი რამე ვიპოვნე და აი მოგართვით...

— რა არის?

— აი, ეს გახლავსთ, ბ-ნო ბოქაულო,— უპასუხა მაწანწალამ და გაფიჩხებულის თითებით საფულე მიაწოდა...

— კარგი, კარგი... აბა, რა თქმა უნდა, ცარიელია!

— თქვენ თვითონ ნახეთ, ბატონო ბოქაულო. ბოქაულმა საფულე გაალო და ქაღალდის ფულების კონა ამოათრია... დათვალა და გაოცებულმა თვალები გადმოკარკლა.

— ბიჭო.,. ბიჭო!..—წამოიძახა ბოქაულმა...—ათი ათასი ფრანკია!.. დასწყევლა ღმერთმა!.. მთელი სიმდიდრეა... აუარებელი ფულია... დასწყევლა ღმერთმა!..

გენილი დამშვიდებული იდგა... მოახსენა:

— როცა წარმოვიდგენ ხოლმე, რომ ზოგიერთს საფულეში ათი ათასი ფრანკი აქვს, გული მწყდება!..

ბოქაული მაწანწალას თვალებს არ აშორებდა. მის თვალებში უფრო გაოცება იხატებოდა, ვიდრე გრძნობა მოწონებისა.

— სწორე თქვენ იპოვეთ ეს ფული?... დასწყევლა ღმერთმა!.. მეტად პატიოსანი ვინმე ყოფილხართ!.. ბარაქალა თქვენს კაცობას... ნამდვილი გმირი ხართ... რა საჭიროა, გმირი ხართ!..

— რას ბრძანებთ ბატონო ბოქაულო...

— გმირი ხართ, მაშ! ამიტომ რომ... შეგეძლოთ... აი საჭიროა ჩემო კარგო... ნამდვილი გმირი ხართ, ჰო მე და ჩემმა ღმერთმა!... თქვენი საქციელი მეტად საქებურია... სწორედ საგმირო საქმე ჩაიდინეთ... სიტყვები ვერ მიპოვნია, როგორ შეგაქოთ... მონტიონის ჯილდო გერგებათ... თქვენი სახელი და გვარი?

— ჟან გენილი, ბატონო ბოქაულო.

ბოქაულმა თუთუნის კვამლით სავსე ოთახის ჭერისაკენ ხელები აიშვირა და წამოიძახა:

— ჟან გენილი!.. საუცხოვოა... დავთარში უნდა ჩაიწეროს თქვენი სახელი და გვარი საშვილიშვილოდ... რა ხელობისა ხართ?

— სამწუხაროდ, ხელობა არაფერი მაქვს... უპასუხა მათხოვარამ.

— როგორ, ხელობა არაფერი გაქვსთ? მაშ, გეტყობათ, ფულის სარგებლითა სცხოვრობთ?

— მოწყალებითა ვსცხოვრობ, ბატონო ბოქაულო... თუ კი ჩემს ცხოვრებას ცხოვრება დაერქმის...

— დალახვროს ღმერთმა! დალახვროს!.. ვაი თუ საქმე გაფუჭდეს... დასწყევლა ღმერთმა!..

ბოქაული დაიღრიჯა და უფრო დაწყნარებულის ხმით დასძინა:

— მაშ... მათხოვარა ხართ?

— დიახ, ბატონო ბოქაულო.

— ჰო!.. ჰო!..

ბოქაულს სახეზე სიდინჯე დაეტყო... ერთხანს ჩუმად იყო და მერე ისევ დაიწყო:

— ბინა სადა გაქვსთ?

ჟან გენილმა გაუბედავად უპასუხა:

— ბინა საიდან მექნება, ბატონო?

— მაშ ბინა არა გაქვსთ?

— სამწუხაროდ, არა.

— მაშ ბინა არა გაქვსთ?.. ხუმრობთ თუ, ჩემო კარგო?

— არა ბატონო, როგორ გეკადრებათ.

— განა არ იცით, რომ იძულებული ხართ, ბინა გქონდესთ, კანონი გაიძულებსთ.

— ხოლო სიღარიბე მაიძულებს... არა მქონდეს... სამუშაო ვერა მიშოვნია რა... სალსარი არავითარი არა მაქვს... და როცა გამვლელს ხელს გავუშვერ მოწყალებისათვის, უცხო ქვეყნის შავს ფულს მაჩეჩებენ... თითქო ეს ცოტა იყოს, მოხუციცა ვარ და და ავადმყოფიცა: ფუში მაქვს.

— ფუში... ფუში!.. ძალიან კარგი და პატიოსანი... მაგრამ მე ამას არ გეკითხებით... ფუში გაქვსთ, მაგრამ ბინა კი არა... თქვენისთანა კაცს მაწანწალა დაერქმის... მაწანწალობისათვის პასუხი უნდა აგოთ... მართალია, გმირი კი ხართ, მაგრამ ამავე დროს მაწანწალაც ხართ... მართალია, გმირთა სასარგებლოდ კანონი არ არსებობს, სამაგიეროდ, მაწანწალათა წინააღმდეგ კი არსებობს... იძულებული ვარ ეს კანონი შევასრულო... რა საჭიროა, მეძნელება... მაწუხებს ამ კანონის ასრულება... ამიტომ, რომ... ამიტომ რომ თქვენ საქებური საქმე ჩაიდინეთ, გმირი ხართ, გმირი... მაგრამ რას იზამთ, კანონი—კანონია... ძალა და გამარჯვება კანონს უნდა დარჩეს!.. დასწყევლა ღმერთმა ეშმაკი!.. არა, საოცარი საქმე კი ჰქენით!..

ამ ლაპარაკში ბოქაული თან საფულეს ათამაშებდა ხელებში... მერე ისევ განაგრძო:

— ეს ხომ საფულეა?.. მეც მაგ აზრისა ვარ... სხვა უთქვენო ბევრი არ მოიტანდა ამ ფულს აქ... თანახმა ვარ... არც იმას ვიტყვი, რომ თქვენ სულელურად მოიქეცით, რომ ეს ფული აქ მოიტანეთ... არა, პირიქით... თქვენი საქციელი სამაგალითოა... საპოვნელა გერგებათ... არა მგონი, ხუთ ფრანკზე ნაკლები მოგცენ... უეჭველია ამ ჯილდოს მოგცემენ კიდეც, როცა ვიპოვით (თუ კი როდისმე ვიპოვნეთ) ამ საფულისა და ამ ათი ათას ფრანკის პატრონს... მაგრამ აქაო და ფული ვიპოვნეო, ნება არა გაქვსთ უბინაოდ იყოთ... და სამწუხაროც ეს არის, ჩემო ჟან გენილ... ხომ კარგად გესმისთ, რასაც გეუბნებით? არც კანონთა კრებულში, აღარც სხვაგან, არ არსებობს ისეთი მუხლი კანონისა, რომ გავალებდეთ ქუჩაში ფულით გატენილი საფულე იპოვოთ... სამაგიეროდ ისეთი მუხლი კი არის, რომელიც ვალდებულ გყოფსთ ბინა გქონდესთ... ეჰ, მე და ჩემმა ღმერთმა, ამ ფულის პოვნას გერჩივნათ ბინა გეპოვნათ სადმე...

— მაშ რა ვქნა?—ჰკითხა ჟან გენილმა.

— რა და,—უპასუხა ბოქაულმა,—ამაღამ პოლიციის ნაწილში გაათევთ, ხვალ კი ციხეში გაგზავნით...

ეს უთხრა ბოქაულმა და ზარი დააწკარუნა... ორი პოლიციელი შემოვიდა... უფროსმა ანიშნა. პოლიციის ნაწილში რომ მიჰყავდათ, ისე ჟანმა წაილუღლუღა:

— ესეც ასე! ოღონდაც რომ დღეს ბედი არა მაქვს... არა, თუ ღმერთი გრწამსთ, უკეთესი არ იქნებოდა ამ შეჩვენებულ მდიდრებს თავისი საფულე ჯიბეში შეენახათ?.. გული როგორ არ უნდა დამწყდეს!..

თ. ხ.

◆

◆ გუშინწინ ჯარსიდან ტფილისში ჩამოვიდა ჯარსის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე გენერალ-მაიორი გოლოვკოვი.

◆ 30 მარტს ტფ. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ქუთ. გუბ. მცხოვრებს სიბიტო ბრეგვაძეს, კაცის მოკვლის განზრახვისათვის გადაწყვეტილი ჰქონია ზოგიერთ უფლებების ჩამორთმევით პატიმართა გამასწორებელ რაზმში 1 წლის ვადით გაგზავნა.

◆ ამას წინად ტფ. ოლქის სასამართლოს სესიამ, ქ. გორში, სურამის ნაწილის მომრიგებელ მოსამართლის მდივნის თანაშემწეს ხუციშვილს მექრთამეობისათვის გარდაუწყვეტა პატიმართა გამასწორებელ რაზმში 1 წლის ვადით გაგზავნა. როგორც გადმოგვცეს, ახლა ვილაცას გაუღია სესიის კანცელარია და მოუპარავს საქმე, რომლითაც დასჯილ იქმნა აღნიშნული ხუციშვილი. ქურდობაში ეჭვი მიუტანიათ თვით ხუციშვილზე, რომელიც გამომძიებლის განკარგულებით დაუპატიმრებიათ. გამოძიება სწარმოებს.

◆ 30 მარტს, ტფ. სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე შორაპნის მაზრის სოფელ კაცხის მცხოვრების ბიჭია აბესაძისა, რომელსაც მეზობლის მოკვლა ბრალდებოდა. ქუთაისის ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია აბესაძე და გარდაუწყვეტია მისთვის ზოგიერთ უფლებათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 3 წლის ვადით გაგზავნა. პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება.

◆ შაბათს, 6 აპრილს, ტფ. სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე თავ. დავით ანდრონიკაშვილისა, რომელსაც ბრალდება ფიც ქვეშ ცრუ მოწმობა სასამართლოში.

◆ ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებებში წარსულ თებერვლის განმავლობაში უსარგებლიათ საექიმო დახმარებით: სოფელ საგარეჯოს (ტფ. მაზრა)—776 ავადმყოფს, მათ შორის 409 კაცს, 321 ქალს და 217 ყმაწვილს; სოფელ ახმეტის (თიანეთის მაზრა)—432 ავადმყოფს, მათ შორის 207 კაცს, 110 ქალს და 115 ყმაწვილს; სოფელ ეკატერინენფელდის (ბორჩალოს მაზრა)—353 ავადმყოფს, მათ შორის 165 კაცს, 121 ქალს და 102 ყმაწვილს; სოფელ ბარალეთის (ახალქალაქის მაზრა)—309 ავადმყოფს, მათ შორის 168 კაცს, 80 ქალს და 61 ყმაწვილს; სოფელ აწყურის (ახალ ციხის მაზრა)—433 ავადმყოფს, მათ შორის 190 კაცს, 73 ქალს და 170 ყმაწვილს; სოფელ ახალ გორის (დუშეთის მაზრა)—401 ავადმყოფს, მათ შორის 194 კაცს, 105 ქალს და 93 ყმაწვილს; სოფელ კოდალოს (სიღნაღის მაზრა)—318 ავადმყოფს; სოფელ ცხინვალის (გორის მაზრა) 363 ავადმყოფს.

◆ ორშაბათს, 1 აპრილს., მამადავითის მოედანზე, ნაშუადღევის $2\frac{1}{2}$ საათზე, წაქცეულა და უეცრად გარდაცვლილა გერმანიის ქვეშევრდომი ადამ ეპიგერი.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილში, მუხრანის ქუჩიდან ბორანით მეორე ნაპირზე გადასასვლელად მისულა 1 აპრილს ტფ. მცხოვრებელი, 22 წლისა, ოჰანეზოვი. ვიდრე ბორანზე ავიდოდა, მებორანეს ნაპირიდან ბორანი გაუწევია, ოჰანეზოვს ზედ შეხტომა მოუნდომებია, ასხლეტია ფეხი და წყალში ჩავარდნილა. ოჰანეზოვი დაიხრჩო. ერთი კაცი არ გამოჩნდა, მიშველებოდა საწყალს და გადაერჩინა. დამრჩვალის გვამი ჯერაც ვერ უნახავთ.

რუსეთის ქრონიკა

∝ სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა გამომკვლეველს საგანგებო კომიტეტს, გარდა იმ სხდომებისა, რომელთა ანგარიში გუშინდელს №-ში გვქონდა დაბეჭდილი, კიდევ ჰქონია ორი სხდომა. ამ სხდომებზე კომიტეტმა განიხილა ვ. ი. კოვალევსკის მიერ წარმოდგენილი პროგრამა კომიტეტის მოღვაწეობისა და გარდა ამისა გარდაუწყვეტიათ დაუყოვნებლივ შეუდგნენ მცირე კრედიტის საქმის განვითარება-გაძლიერების პროექტის შედგენას. ამისათვის სხდომებზე დასასწრებლად მოუწვევიათ პეტერბურგის ზოგიერთი საზოგადო მოღვაწე და ფინანსთა მინისტრს პროვინციიდანაც გამოუწვევია რამდენიმე მოღვაწე და მცოდნე. უკანასკნელთა შორის არიან პსკოვის, პოლტავის და პერმის საერობო გამგეობათა თავმჯდომარენი, ერთი საერობო უფროსი და მოგილევის გუბერნატორი.

∝ „კიევლიანინ"-ის სიტყვით, დადგა თუ არა გაზაფხული, მრავალი ებრაელი დაიძრა დასავლეთ გუბერნიებიდან და მიდის ამერიკაში დასასახლებლად; უმეტესი ნაწილი მიემგზავრება ნიუ-იორკსა და ბოსტონს, უმცირესი—არგენტინაში, სადაც ბარონ გირშმა სასოფლო კოლონიები დააარსა რუს-ებრაელთათვის. გადასახლების უმთავრესი მიზეზიაო, ამბობს ხსენებული გაზეთი, უკიდურესი სიღარიბე, რომელშიაც ჩავარდნენ ებრაელი-ხელოსნები საფაბრიკო მრეწველობის გაძლიერებისა გამო.

∝ „კიევსკ. გაზ". იტყობინება, რომ კიევის პოლიტეხნიკუმის სტუდენტების მიერ დაარსებული სასადილო, საჩაიე და ბიბლიოთეკა-სამკითხველო დახურულ იქმნენო.

∝ მთავრობას განზრახვა აქვს გადააკეთოს გარეშე საქმეთა სამინისტროსთან არსებული აღმოსავლეთ ენების კურსები; სახელდობრ, აპირებენ კურსების მაგიერ აღმოსავლეთ ენების დამოუკიდებელი და სრული აკადემია გახსნან, რომელიც სამხედრო სამინისტროს დაექვემდებარება. ამ რეორგანიზაციის პროგრამის შემუშავება განსაკუთრებულს კომისიას დაევალა.

∝ პეტერბურგის გაზეთების სიტყვით, შემოდგომაზე პეტერბურგში მოელიან აფრიკიდან აბისინიის ნეგუსს მენელიკს.

პრესსა

რუსულს გაზეთებში დაბეჭდილია ბიბლიოგრაფიული შენიშვნები ერთის ახლად გამოცემულ საინტერესო წიგნის შესახებ; წიგნის სათაურია „ქალთა მოძრაობა საზღვარ-გარედ და რუსეთში", ავტორია ბ. კეჩეჯი-შაპოვალოვი. გაზეთებს მოჰყავთ ავტორის შემდეგი დასკვნა:

> ჩვენ არ გვესმის, რა მოსაზრებათა ძალით და რა საფუძველით არ ვაძლევთ ქალებს ნებას—ისეთს საქმეს მოჰკიდონ ხელი და ისეთი სამოღვაწო ასპარეზი აირჩიონ, როგორიც მათ ჰსურთ და ენატრებათ. ის მაინც რად გვავიწყდება, რომ ჩვენ შორის მაინცა და მაინც ბევრი ნიჭიერი მამა-კაცი არ მოიძებნება, რის გამო უფლება გვქონდეს ნიჭიერ დედა-კაცთ გზა შეუკრათ.
>
> ქალს თანასწორი უფლება უნდა მიენიჭოს არა იმიტომ მხოლოდ, რომ ამას სიმართლე თხოულობს, არამედ იმიტომ, რომ ეს პრაქტიკულადაც სასარგებლო იქნება კაცობრიობისათვის.
>
> საუკუნო კანონები და საუკუნო დაწესებულებანი არ არსებობენ. ჯერ კიდევ ათინელი კანონმდებელი სოლონი ამბობდა, რომ „საუკეთესო კანონები ისინია, რომელნიც უფრო შეეფერებიან დროის მოთხოვნილებათ"; ხოლო ჩვენი დრო დაჟინებით თხოულობს, რომ ქალსაც მიენიჭოს უფლება თავის შრომით მოიპოვოს ცხოვრების საშუალება და მიეცეს ნება თავისუფლად, თავის შეხედულებით აირჩიოს სამოღვაწო ასპარეზი.
>
> მომავალი, როგორც უცნობი რამ, ყოველთვის აშინებს მხდალ ადამიანს, მაგრამ ბევრისათვის ქალთა მოძრაობა საშიში კი არა, ცხოველმყოფელი მოძრაობაა; ისინი სწორედ ამ მოძრაობაში ჰხედავენ კაცობრიობის ძლევა-მოსილების აღორძინებას.
>
> ევროპაში ქალთა რიცხვი 7 მილიონით აღემატება მამა-კაცთა რიცხვს. ეს ხომ მთელი ძლევა-მოსილი ჯარია!..
>
> მაშ, მიეცით მათ გზა ფართო და უფლება მამა-კაცებთან ერთად იმოღვაწონ! განათლებული ქალი, ყოველივე უფლებით აღჭურვილი, ახალს სულს ჩაჰბერავს დაუძლურებულს კაცობრიობას.

ტფილისის «მამათა» დარბაზიდან

ორშაბათს პირველი აპრილი იყო და ჩვენმა ხმოსნებმაც ისარგებლეს ამითი—მოგვატყუილეს (სხვა დღეებში სულ მართალს მოგახსენებენ და გზასა მას მართალთასა ადგიან, როგორც ვიცით): ათის ოც წუთამდე გვაცდევინეს, ხმ. კოჩარიანცი და მეგაზეთე ხალხი კიბეზე იდგნენ და სახლში წავსლას აპირებდნენ, მაგრამ ამ დროს ერთბაშად მობრძანდნენ ქალაქის „მამანი" და სხდომაც შედგა (დაგვიანებას ბანკებში ყოფნით ხსნიდნენ: ცხადია, თუ უბრალო დღეს—არა პირველ აპრილს—არ მოდიან, ეს იმიტომ, რომ „ბანკებში" მოღვაწეობით იღალებიან და აბა დაღალული ხალხი ხომ ყოველთვის „მოტყვილების" გულისათვის ათის ნახევარზე არ შეადგენს სხდომას!).

მეორე სიურპრიზიც: სხდომა საინტესესო და „პიკანტნი" შეიქნა. გამგეობის წევრს ხოსროევს ავადმყოფობის გამო თხოვნა შეუტანია თანამდებობიდან განთავისუფლებიათ. დაიბადა ორი კითხვა: 1) ხოსროევისათვის პენსიის დანიშვნისა და 2) მის მაგიერ გამგეობის ახალ წევრის არჩევისა. თუ ინებებთო, სთქვა შესტაკოვმა, გამგეობა 8 აპრილისათვის თავის მოხსენებას წარმოგიდგენთ პენსიის დანიშვნაზე და იმავე დღეს მაგიერი წევრიც აირჩიეთო. პენსიის შესახებ ყველა თანხმა იყო, მაგრამ ახალ წევრის არჩევანმა ხანგრძლივი და ცხარე კამათი გამოიწვია. ხმ. არ. ბაბოვი ამტკიცებდა და სამართლიანადაც, რომ ეხლანდელ საბჭოს, რომელიც ნამდვილად ძლივს 27 ხმოსნისაგან შესდგება, ზნეობრივი უფლება არა აქვს ამოირჩიოს გამგეობის ახალი წევრი: მაისში ხმოსნების არჩევანია და ეს ახალ ხმოსნების საქმეა, ვისაც ამოირჩევენო. გარდა ამისა სამ წევრიანი გამგეობა რამდენჯერმე ყოფილა და ოთხ-ხუთ წევრიანზე ცუდათ საქმე არ წაუყვანიაო: წევრების რაოდენობას იმდენი მნიშვნელობა არა აქვსო. ხმ. სულხანოვი, დოლუხანოვი, გამგ. წევრი ენფიანჯიანცი, ძმები ალიხანოვები სულ სხვა აზრისანი არიან. ენფიანჯიანცი ამტკიცებს, რომ თუ გამგეობის ახალი წევრი არ ივირჩიეთ, ქალაქის საქმეები აწეწილ მდგომარეობაში უნდა გადავცეთ ახალ საბჭოსო (ეხლა, ალბად, ძალიან წესიერ მდგოიარეობაშია) და ამისი ზნეობრივი უფლება არ გვაქვსო (ყველა ზნეობრივ უფლებაზე ლაპარაკობდა). სულხანოვის აზრით, დარჩენილ 27 ხმოსანსაც შეუძლია სერიოზულად მოეკიდოს საქმეს (აკი ამდენი ხანია სულ ამას ამტკიცებენ) და კარგი წევრი აირჩიოს: ჩვენი კანონიერი უფლებაა ახლავე ავირჩიოთ გამგეობის წევრიო; ვინ იცის, ახალი წევრები როდის შეუდგებიან საქმესო. არ. ბაბოვი იმეორებს: მე ვლაპარაკობდი ზნეობრივ უფლებაზე და არა ფორმალურ კანონზე; რომ ეხლანდელი ხმოსნები მართლა სერიოზულად უყურებდნენ თავიანთ მოვალეობას, არც ასე ცუდად იქნებოდა ქალაქის საქმეები; არჩევნები მაისის შუა რიცხვებში მოხდება; არჩევანის დამტკიცება ოთხ დღეზე მოხერხდება და ეს დიდი ხანი არ არისო. ძმები ალიხანოვები მეტად გააწიწმატა ბაბოვის სიტყვამ.

ივანე ალიხანოვი — როგორ შეიძლება წევრის არჩევანის გადადება; სამ წევრიან გამგეობით ხომ ვერც ერთ სერიოზულ საქმეს ვერ გავაკეთებთ (არ. ბაბოვი:—აკი არც გაგვიკეთებია!) ასე რომ ვიფიქროთ, მაშინ ხომ ეხლანდელი საბჭოც უნდა დავხუროთ ახლის არჩევამდე. არ. ბაბოვს არა აქვს ზნეობრივი უფლება ეხლანდელ ხმოსნებზე ეგრე ილაპარაკოსო. კ. ალიხანოვს თურმე სრულებით არ ესმის (როგორც მოგეხსენებათ, სულ გულ-უბრყვილო ბავშვია), როგორ შეიძლება რამე განსხვავება იყოს ფორმალურად კანონიერსა და ზნეობრივს შორის: რაც კანონიერია, ის ზნობრივიც არისო; საბჭომ საჭიროდ მიიჩნია ხუთ-წევრიანი გამგეობა, ეხლა სამის მეტი არ გვყავს, ამიტომ არა თუ ერთი, ორიც უნდა ამოვირჩიოთო, თუ შესაძლებელი იქნებაო, ბრძანა chef-მა და „გაწვრთნილი სპილოები" ერთბაშად წამოდგნენ—8 აპრილს ავირჩიოთ უთუოდ ხოსროევის მაგიერი წევრიო. არც საკვირველია—მაისში ხმოსნების არჩევანია, ახალ წევრის არჩევანით კი ჩვენი ეხლანდელი „მამანი" რამდენიმე კენჭს შეიძენენ: არჩეულისას და მისთა თვისთა.

ერთი სანუგეშო ამბავი ტფილისელებს: სასმელ წყალის მომატება შეუძლებელი ყოფილა, ასე რომ ამ ზაფხულს ტფილისლებმა სულ ლიმონადი, ლუდი და ამგვარები უნდა სვან. უკეთესი პერსპექტივა სხვა ქალაქებმა დაიკვეხნოს.

ერთი ძველი ამბავიც: საბჭოს კომისიის წევრების ყავლის გაგრძელება ყოფილა საჭირო, საბჭოც, რასაკვირველია, თანახმა გახდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ რამდენიმე კომისიას არც ერთი სხდომა არა ჰქონია, წევრებს არ სცოდნიათ თავიანთი წევრობა, ზოგი კომისიის თავმჯდომარე ვინ არის, ვერ გამოირკვა, ერთის სიტყვით, კომისიებმა საკვირველის თვალსაჩინობით დაგვანახვეს საქმიანობის უნარი. არ. ბაბოვმა მოითხოვა—შესდგეს მოკლე მოხსენება კომისიების წევრების მოქმედების შესახებო, მაგრამ ყური არავინ ათხოვა: არჩევნების წინ ასეთის მოქმედების საქვეყნოდ გამომჟღავნება ტფილისელ ამომრჩეველსაც კი მოიყვანს გონს.

ბოლოს დიდი აურ-ზაური გამოიწვია ბ. შესტაკოვის პასუხმა ხმ. ბალდასაროვის ძველის-ძველ შეკითხვაზე, თუ რა მდგომარეობაშია ქალაქის მიწის მითვისების საქმე ქალაქისავე მოხელის მიერ. შესტაკოვის პასუხიდან შევიტყვეთ, რომ ქალაქის ეს მიწა დიდი ხანია მიუთვისებია ვიღაც დავიდოვს. შემდეგ ამ დავიდოვის ქვრივი ცოლად გაჰყოლია ბ. ფურცელაძეს, რომელიც „მხოლოდ იმაშია დამნაშავე, რომ ხსენებულ მიწის მფლობელი ქალი შეირთო ცოლადო". პასუხი მარტო შესტაკოვს დაეწერა და სწორედ მისებურობა ეტყობოდა: საკამათო მიწა სულ 900 კვ. საჟენი ყოფილა, აქედან 600 კანონიერ საბუთის ძალით უკავია პატრონსო, ასე რომ აქ „ЗАХВАТЪ"-ს კი არ ჰქონია ადგილი, როგორც ბალდასაროვი ამბობსო, არამედ მარტო „ПРИХВАТЪ"-სო, რომელიც 300 კვ. საჟენს უდრისო. დაუმატეთ ამას ისიც, რომ ბ. შესტაკოვმა თავის ქომაგობით ნამდვილი დათვის სამსახური გაუწია თავის მოხელეს. (ისე უხერხულად იცავდა და ისე ცუდათ ხმარობდა თავმჯდომარის უფლებას) და ადვილი წარმოსადგენია, თუ რატომ ჩვენის ხმოსნების მცირე მოთხოვნილებაც ვერ დააკმაყოფილა შესტაკოვის პასუხმა. საბჭომ საგანგებო კომისია აირჩია საქმის გამოსარკვევად, რაც, უთუოდ, ორის კვირის განმავლობაში უნდა მოხდეს.

წერილი განჯიდან

(ქართული საღამო)

25 მარტს საკრებულო დარბაზში ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართა მეცხრე ქართული საღამო, რომელმაც, ჩვეულებრივ, მრავალი ხალხი მიიზიდა. საღამოს პროგრამა კარგად იყო შედგენილი. პატარა და ცოცხალი ვოდევილი „ადვოკატთან", ქართული ხორო ბ. კავსაძის ლოტბარობით, სკრიპკაზედ დაკვრა ბ. კობოსკასი, ქ. შულგინა-რიონელის სიმღერა, ბოლოს ცეკვა ნაციონალური და ევროპიული,—ყველა ეს წარმოადგენდა საინტერესო სანახავს და გასაგონს. ძნელია სთქვას კაცმა, რა უფრო მოეწონა საზოგადოებას. ყოველმა ნომერმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და მრავალი ტაშის ცემა გამოიწვია. სავმარისად კარგად ჩაიარა ვოდევილმა,—მეტადრე კარგები იყვნენ ქალები—პ. მ. სარაჯიშვილისა მართა ანჩხლაძის როლში და ნ. რ. ბაქრაძისა ნაზიანის როლში. საზოგადოებამ მრავალი ტაშის ცემით დააჯილდოვა მოთამაშენი. ქ. შულგინა—რიონელს მოთავსებული ჰქონდა პროგრამაში ორი პიესა, მაგრამ შეასრულა ექვსი ნომერი, რადგანაც საზოგადოება გაუთავებლად ტაშს უკრავდა და თხოულობდა სიმღერის გამეორებას. მომღერალი ქალის სუფთა და ლამაზმა ხმამ საზოგადოება დიდად ასიამოვნა. ქ. შულგინასას მიართვეს თაიგული. ტკბილად და ხელოვნურად შეასრულა სკრიპკაზედ ორი პიესა ბ. კობოსკამ, რომლის დაკვრა აქაურ მუსიკის მოყვარულთ ძალიან მოსწონთ. ქართულმა ხორომ (კაცებისამ) ჩოხა-ქულაჯებში გამოწყობილმა იმღერა ათზედ მეტი სიმღერა და თითქმის ყველა გაიმეორა. ძრიელ მოეწონა საზოგადოებას ბ. კავსაძის სოლოები—„გადმოშვი მთაო" და „დაიგვიანეს". მოეწონათ აგრეთვე „რენო", „შარიშური", „ბუბა ქაქუჩელა" და სხვ. საზოგადოდ, როგორც დამსწრენი ამბობდნენ, ხორო კარგ სურათს წარმოადგენდა და მწყობრად მღეროდა. ორიგინალურად ეჩვენა საზოგადოებას შემდეგი სურათი: ქართველები ტუჟში გაშლილ სუფრას გარეშემო შემოსხმოდნენ, იქვე ტიკჭორები ელაგათ, ყანწები ხელში ეჭირათ და როცა ფარდა აეშვა, ერთმა ხოროში მონაწილეთაგანმა აღდეგრძელა დამსწრე საზოგადოება და ხორომ შესძახა კახური მრავალ-ჟამიერ. შემდეგ ხორო წამოიშალა და დასძახა საცეკვაო; ამ ხმას სცენაზედ ცეკვა მოჰყვა და ამითი დაბოლოვდა სურათი.

აქ უნდა აღვნიშნოთ ის განსაკუთრებული შრომა, რომელიც იკისრა ბ. კავსაძემ წელს ჩვენ საღამოს გამართვაში. ბ. კავსაძე ჩამოვიდა აქ 20 მარტს და ხუთი დღის განმავლობაში დილიდან საღამომდინ ხოროს მზადებაში იყო. ამ მოკლე ვადაში ხორომ იმდენად რიგიანად შეისწავლა ხმები, რომ სრულიად თამამად ასრულებდა სცენაზედ სიმღერებს. ბ. კავსაძეს საჩუქარი მიართვეს. კონცერტის შემდეგ გაიმართა ცეკვა, რომელმაც მეოთხე საათამდის გასტანა. საზოგადოდ წრევანდელი საღამო უკეთესი იყო ამ უკანასკნელ წლების ქართულ საღამოებზედ. იმედია, საღამოს შემოსავალი 250 მანეთამდე დარჩება.

ცოტა ნაკლები შემოსავალი წელს იმითი აიხსნება, რომ საპატიო ბილეთები გუბერნიაში

ძალიან ცოტა გაიგზავნა შედარებით წარსულ წლებთან, აღარც ბუფეტი გავმართეთ წელს.

P. S. გაზეთ „კავკაზ“-ის 30 მარტის ნომერში მოთავსებულია მცირე შენიშვნა ქართულ საღამოს შესახებ. კორესპონდენტს—ვიღაც „შვილს“ (?) არ მოსწონებია წრევანდელი ქართული საღამო. ამ ვაჟბატონს რომ დაუჯეროთ, ქართულ საღამოში მონაწილეობას იღებდა ქალების ხორო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „კავკაზ“-ის კორესპონდენტი ან სრულებით არა ყოფილა ქართულ საღამოზედ, ან, თუ ყოფილა, ყურთ ბამბა ცმია და თვალები ახვეული ჰქონია. მას ვერ დაუნახავს, რომ სცენაზედ წვერ-ულვაშებიანი ვაჟკაცები მღეროდნენ და ვერ გაურჩევია ქალების ნაზი ხმები კაცების ხმებისაგან. ალბად, ბ. „შვილი“ იმ გარემოებამ შეიყვანა შეცდომაში, რომ პროგრამებში არ იყო ნათქვამი, ვისგან შესდგებოდა ხორო, კაცებისაგან თუ ქალებისაგან. უცნაური თვისების სმენა ჰქონია კორესპონდენტს, —შესაძლებელია მას რომ საღამოს პროგრამა ხელში არა ჰქონოდა, დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ქ. შულგინისა-კი არა, ბ-ნი შალიაპინი მღეროდა ქართულ საღამოზედ. კარგი კორესპონდენტი ჰყოლია გაზეთ „კავკაზს“.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! ამასთანავე გიახლებთ 50 მანეთს, ჩემ მიერ დ. სამტრედიაში მოგროვილს ჩვენი სასიქადულო მსახიობის ვ. ა. აბაშიძის 25 წლის დიდად ნაყოფიერი მოღვაწეობის პატივ-საცემლად და, თანახმად შემომწირველთა სურვილისა, გთხოვთ ეს ფული გადასცეთ ქართველ მსახიობთა დამხმარებელ ფონდს.

ამასთანავე გგზავნი შემომწირველთა სიას, რომელიც გთხოვთ დაჰბეჭდოთ გაზეთ „ცნობის ფურცლის“ მახლობელს ნომერში.

ალექსანდრე ბაქრაძემ—5 მან. 40 კაპ.; ყარამან ნანეიშვილმა, იოსებ ღოღობერიძემ, დ. სტეფანიძემ ორ-ორი მან., მ. დარასელიამ და ს. კორძაიამ თითო მან., სპ. სიხარულიძემ—3 მან., პ. ქეიშვილმა და რ. ახობაძემ—თითო მ., ნ. არველაძემ—30 კ., სტ. სტურუამ და ო. კრიჟუნკოვმა—თითო მან., ბლაღოჩინმა ერმ. კანდელაკმა—2 მან., მ. რუხაძემ და ფ. რუხაძემ—ათ-ათი შაური, ივ. კოპალეიშვილმა და ს. მინდაძემ—თითო მან., პ. ქუმბურიძემ—50 კ., ვ. თარგამაძემ, ვ. ძიუბენკომ, ი. ქართველიშვილმა და ნ. ნაცვალაძემ—თითო მან., გრ. მეგრელიშვილმა და პ. ძიძიგურმა—ათ-ათი შაური, ბ. გერგაიამ და ე. სტურუამ—ორ-ორი აბაზი, ი. ნიკურაძემ—20 კ., ბ. ლაკტიონოვმა—50 კ., ალ. ლეჟავამ, ვ. ხელაიამ და ს. ჯავახიამ—თითო მან., პ. იმედაშვილმა—50 კ., №№-მა—20 კ. იულ. კუკულევიჩმა, მ. გუგუნავამ და ს. სანოძემ—ათ-ათი შაური, ილ. ალბერტიანციმ—40 კ., ო. ნიკოლაიშვილმა—50 კ., ვ. კახიანმა და ი. შილაკაძემ—60 კ., ბარნაბა კალაძემ—60 კ., კ. ბახტაძემ და ი. გურგენიძემ—ათ-ათი შაური, ი. ცომაიამ, გ. ნიკოლაიშვილმა, ს. ჩხაიძემ და ფ. დუნდუამ—ექვს-ექვსი შაური, ს. ჩხიკვიშვილმა—50 კ., ი. პაპავამ—30 კ., ტ. ასათიანმა—50 კ., მ. ასათიანმა, ქახრაკიამ, უჯმაჯურიძემ და მ. ჩახაიამ—ექვს-ექვსი შაური, მ. ასათიანმა, დ. მიქელაძემ, ი. თევზაძემ ან. ცომაიამ—50 კ., ს. აროშიძემ—30 კ., ნ. ნინიძემ—50 კ., ვლ. ბიბილაშვილმა—1 მ., ს. გრიგოლიამ—1 მ., ზ. თელიამ—50 კ., კ. ჯიქიამ და გ. ვეკელიძემ—თითო მან.

სულ 51 მანეთი და 60 კაპ., ამ ფულებიდან 1 მ. და 40 კ. დაიხარჯა მისალოცავ დეპეშაში; დანარჩენ 49 მანეთსა და 60 კაპ. ამასთანავე გიახლებთ.*)

სამტრედიის სადგურის უფროსი **ა. ს. ბაქრაძე.**

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

1 აპრილი

პეტერბურგი. პირველ აპრილს დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა დაათვალიერა პატრიოტულ საზოგადოების საქალებო სკოლა.

31 მარტს „რუსკოე სობრანიემ“ გამართა დიდებული სადილი დანევის პატივსაცემად. სადილს ასს კაცზე მეტი დაესწრო. შემდეგ ჩინებულის სიტყვისა ბოლგარიის რუსეთთან და სლავიანთა ქვეყნებთან ერთობაზე, დანევმა წარმოსთქვა სადღეგრძელო ხელმწიფე-იმპერატორისა. კრების თავმჯდომარემ თავადმა გოლიცინმა უპასუხა ბოლგარიის მთავრის და ბოლგარიის ხალხის სადღეგრძელოთი.

პეტროზავოდსკი. საეპარქიო უწყებამ საეკლესიო სანთლის ქარხანა გახსნა.

ნოვოჩერკასკი. ვაჟთა გიმნაზიაში პირველად გამართეს დღესასწაული ხეების დარგვისა.

სარატოვი. პირველი გემები გავიდნენ. ახალი არხი ნავოსნობისთვის კარგი გამოდგა.

ასტრახანი. წარსულ წელს ასტრახანიდან გაუტანიათ თევზეულობა 11,217,443 ფუთი—30,333,805 მან. ღირებული.

ალჟირი. კრეისერი „ვლადიმირ მონომახი“, გემი „ხრაბრი“ და სხვა პატარა გემები, რომლებიც ალჟირში იდგნენ, საღამოთი ზღვაში გავიდნენ.

რადომი. მრეწველთა კასამ 140 მან. გადასდო საკვირაო სამხატვრო კლასის შესანახად.

კელცი. ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელი საზოგადოება დაამტკიცეს.—კელცის გუბერნატორმა ოზეროვმა განუმარტა შეგირდებს ხეების დარგვის დღესასწაულის გამართვის სარგებლობა, რითაც გამოიწვია საერთო თანხმობა დახმარებისა. მიცემული ფულით დარგულია ამ ხანად 10,000 ხე.

კალუგა. სახალხო განათლების სამზრუნველო საზოგადოებამ გამართა უფასო კითხვა ჟუკოვსკის მოსაგონებლად.

ბელგრადი. გუშინ დოლინამ, აუერმა და მიკლაშევსკიმ კონცერტი გამართეს დიდის ამბით. დღეს არტისტები რუსეთის მისიაში არიან მიწვეულნი, ხოლო ხვალ მიდიან.

პარიზი. გაზეთებმა დაბეჭდეს „ვესტნიკ ფინანსოვ“-იდან ამოღებული „ურთიერთი დამოკიდებულება რუსეთსა და საფრანგეთს შორის“. ამგვარი შესწორება შემცდარის ანუ ბოროტ-განზრახულის აზრებისა, უეჭველია, კარგ შთაბეჭდილებას მოახდენს.

ირკუტსკი. ოცი წელიწადი შესრულდა, რაც გაზეთი „ვოსტოჩნოე ობოზრენიე“ არსებობს. რედაქტორს მიულოცეს საზოგადოების წარმომადგენელთ.—ადმირალი ალექსეევი პეტერბურგში წავიდა.

მოსკოვი. დღეს დაიწყო სექციური მუშაობა ცეცხლის მქრობელთა კრებისა. საქალაქო სექციამ დაადგინა, იშუამდგომლოს მალე დაუთმონ ადგილი ქუჩების და გასავლელ გზების გასაკეთებლად. სასოფლო სექციამ საჭიროდ დაინახა, შეიმუშავოს ცეცხლის წინააღმდეგი ზომების პროგრამა, რომელმაც შეაერთოს ერობის მოღვაწეობა და სხვა საზოგადო დაწესებულებათა.

პეტერბურგი. „ვესტნიკ ფინანსოვ“-ში მოყვანილია 1901 წ. ფინანსთა შედეგზე ცნობები. შემოსავალი სულ ყოფილა 1,962 მილიონი, აქავე უნდა მივათვალოთ 127 მილიონი სესხი. ამგვარად შემოსავალი სჭარბობს გასავალს 117 მილიონ მანეთით,

2 აპრილი

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. ბალფური აცხადებს, რომ შაბათს კიტჩენერმა გამოუგზავნა მთავრობას ბურთა წინამძღოლების ეპისტოლე. ამ ეპისტოლეს პასუხიც მიეწერა ბურებს.

„ტაიმს“-ის სიტყვით, მოკავშირე ჯარების სარდლებმა გადასწყვიტეს არ მოსპონ დროებითი მმართველობა ტიან ძინში, სანამ ჩინელები სიმაგრეებს არ დააქცევენ, ესე იგი, 18 ივლისამდე; ყოველ შემთხვევაში დროებით მმართველობა არ მოისპობა, თუ ჩინელები შემდეგ პირობებს არ შეიწყნარებენ: ჩინეთის მთავრობა ვალდებულია აღარ განაახლოს სიმაგრეები და აღარ ააშენოს ახალი სიმაგრეები პეკინსა, ტაკუსა და შანჰაი-გუანოს შუა; ჩინეთის საპოლიციო ჯარისკაცთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 2,500-ს; ჩინეთის ჯარს ნება არა აქვს ტიანძინს 30 კილომეტრზე მეტად მიუახლოვდეს; პეკინსა და შანჰაი-გუანოს შუა არსებული რკინის გზა დაუბრუნდება ჩინეთს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მოკავშირე ჯარების სარდლები მოისურვებენ.

პეტერბურგი. ლიუბლინიდან და ლებედიანიდან იტყობინებიან, რომ იქ გამართეს ხის დარგვის დღესასწაულები.

სიზრანი. სიმბირსკის გუბერნატორის შუამდგომლობით, შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრებმა ნება მისცეს სიზრანის საოლქო მმართველობას აიღოს 60.000 მანეთის სესხი ორის წისქვილის საყიდლად ბაჟენოვის მემკვიდრეთაგან.

ოდესა. საერო განათლების სამინისტროს საბჭოს წევრი გენერალ-მაიორი რეპინი სევასტოპოლს წავიდა.

ლონდონი. კიტჩენერი იტყობინება: „8 აპრილს (ახ. სტ.) ინგლისელები თავს დაეცნენ ბაიერის ბანაკს; ბურებმა დასჭრეს 2 ოფიცერი და მოჰკლეს 2; დასჭრეს 5 ჯარის კაცი; ბურებს კი 101 კაცი ჰყავთ მოკლული და დაჭრილი. ბულფონტეინის ახლო ბურები თავს დაესხნენ ინგლისის რაზმს, მოჰკლეს ერთი აფიცერი და ორი ჯარის კაცი და დასჭრეს 14, რაზმის ერთი ნაწილი ტყვედ წაიყვანე. დასავლეთ ტრანსვაალში, როონვაალის ახლო, ბურები 11 აპრილს თავს დაესხნენ პოლკოვნიკ კეკევიჩის ჯარს; დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ ბურები უკუ ქცეულ იქმნენ; მათ მოუკლეს 44 კაცი, მათ შორის სარდალი პოდგუტერა, დაუჭრეს 34 კაცი, 20 დაუტყვევეს; ინგლისელებს მოუკლეს 1 აფიცერი და 5 ჯარის კაცი, დაუჭრეს 52 კაცი“.

მოსკოვი. ცეცხლის მქრობელ საზოგადოებათა კრებაზე გენერალ ლეიტენანტმა ბალდანოვიჩმა პატრიოტული სიტყვა წარმოსთქვა.

კიევი. ჩამოვიდა ფინანსთა მინისტრის საბჭოს წევრი ტ. ს. ანოპოვი.

ლონდონი. ამბობენ, ბურების სარდლებმა სთხოვეს კიტჩენერს ნება მისცეს მათ ისარგებლონ ტელეგრაფით, რათა გამოელაპარაკონ კრიუგერსა და ბურთა დელეგატებს ევროპაში მშვიდობიანობის პირობების შესახებ. აქამდე ბრიტანიის მთავრობას არავითარი ცნობა არ მოსვლია იმ წინადადებათა შესახებ, რომელიც შედეგად მოჰყვა კლერკსდორპში ბურების მეთაურების თათბირს.

ნიჟნი-ნოვგოროდი. მდინარე ოკაზე ყინულმა 10 გემი და ორი ნავი დააზიანა.

მოსკოვი. ხელ ახლად გადასინჯეს მოსკოვის საერთა შორისო ბანკის აქტივი და სხვა და სხვა საეჭვო ანგარიშებიდან გამორიცხეს 4 500,000 263 მ. შემდეგ ანგარიში დაამტკიცეს. პოლიაკოვი და შმელკინგი ისევ აირჩიეს.

დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული სტროგონოვის სასწავლებელს ესტუმრნენ.

ლონდონი. დეპუტატთა პალატას წარუდგინა შემოსავალ-გასავლის პროექტი, რომელშიაც აღნიშნული არ არის სადამოყნო ბაჟის მომატება შაქარზე. პროექტში ინგლისის დეფიციტი მიმდინარე წელს უდრის 45½ მილიონ გირვანქა სტერლინგს; დეფიციტის დასაფარავად მთავრობა წინადადებას იძლევა: გადაიდოს ვალის გადახდა; მოემატოს შემოსავლის გადასახადს ერთი პენსი ყოველ გირვანქა სტერლინგზე; მოემატოს ორი პენსი საღერბო გადასახადს ჩეკებზე, კუპონებზე და თამასუქებზე; მოემატოს სამი პენსი ბაჟი თითო ცენტნერ შვრიაზე და ხუთი პენსი თითო ცენტნერ პურის ფქვილზე; გამოიცეს სახელმწიფო სესხი 32 მილიონ გირვანქა სტერლინგისა და გამოიცეს ქაღალდის ფული.

სოფია. პროფესორების თაოსნობით მოხდა კრება ყველა პარტიათა წარმომადგენლებისა ფირმილიანის საქმის გასარჩევად; კრებამ დაადგინა გაეგზავნოს ბულგარიის ეგზარხოსს ადრესი, რომელთაც აღნიშნულ იქმნეს, რომ ბულგარიის ერი მზადაა განაგრძოს ბრძოლა ფირმილიანის ეპისკოპოსად კურთხევის წინააღმდეგ; გადასწყვიტეს აგრეთვე სთხოვონ მინისტრებს დახმარება აღმოუჩინონ ეგზარხოსს. სოფიაში და მთელს ბულგარიაში გაიმართება მიტინგები პროტესტის გამოსაცხადებლად.

ლონდონი. დეპუტატთა პალატამ 254 ხმით, წინააღმდეგ 135-სა დაამტკიცა მთავრობის წინადადება ხორბალზე დ ფქვილზე ბაჟის მომატების შესახებ; დანარჩენ წინადადებათა შესახები კამათი სამშაბათისათვის გადაიდვა. იმ დროს, როდესაც ჰიქს-ბიჩი ლაპარაკობდა, ჩემბერლენს დეპეშა მიაწოდეს, რომელიც, როგორც ჰფიქრობენ, ზავის პირობებს შეეხება.

ბლაგოვეშჩენსკი. 29 მარტს საქალაქო საქმეთა საკრებულომ დაარღვია საქალაქო არჩევნები.

პეტერბურგი. კვანტუნის ოლქის შტაბის უფროსი იტყობინება, რომ 29 მარტს გარდაიცვალა პორუჩიკი ბელეხოვი იმ ჭრილობისაგან რომელიც მიიღო 13 მარტს ხუნხუზებთან ბრძოლის დროს.

უმაღლესის ბრძანებით, კუშკის სიმაგრე მესამე ხარისხოვან ციხედ უნდა გადაკეთდეს.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

ქირავდება ბაღი

ბუფეტის მოსაწყობლად ვერაზე, ხიდს ახლო, სადაც „კახეთია“ იყო. პირობების გაგება შეიძლება სოლოლაკში **გრეგუარის** საპარიკმახეროში. (3—3)

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ალ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნჭული—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	30
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. ვ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლით და მახვილით, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Грузинское Издательское Товарищество.

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

აუწყებს ყველას, რომ **ექვსს აპრილს** ამ წლისა, შუადღის 12 საათზე დანიშნულია ვაჭრობა აფიშის გასაკრავ ოთხის ბოძის იჯარით გაცემაზე; ბოძები მოწყობილია სავაჭროდ.

მსურველთ შეუძლიანთ გაშინჯონ კონდიციები ყოველ საქმის დღეს, დილის ცხრა საათიდან ნაშუადღევის სამ საათამდე, გამგეობის მეოთხე განყოფილებაში. (ნ. 3—2)

ორშაბათს, 25 მარტს, გაიხსნა ტფილისში, მადათოვის კუნძულზე,

ფ. ი. ფეცის დიდი მუზეუმი.

მუზეუმში 100-მდე სხვა-და-სხვა საგანია. მრავალი ახალი სანახავი! სცენაზე ბევრი ახალი სანახავია პარიზიდან: 1) დაფნა, დევნილი აპპოლონისაგან; 2) გალატეა, მარმარილოს პატარძალი და სხვა. მუზეუმი გახსნილია **ყოველდღე** დილის 10 საათიდან საღამოს 11-მდე; წარმოდგენების დასაწყისი ნაშუადღევის 2-დან. დაწვრილებით იხ. აფიშებში. (20—13)

---

*) რედაქციამ მიიღო 50 მან., რომელსაც დანიშნულებისამებრ გადასცემს. რედ.

Дозволе) цензурою Тифлисъ, 2 Апрѣля 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტ.-მბ. წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.